ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2015 წლის 16 სექტემბრის
ბრძანება №166/01-01

დანართი №1

2015-2016 სასწავლო წლისთვის ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებს შორის ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი 10 თვიანი სასწავლო სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2015-2016 სასწავლო წლისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებსაც ნომინაციის გზით წარადგენს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

3. სტიპენდიატის შერჩევა
სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა

საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა
გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ სტიპენდიატთა შერჩევის გზით.